

ქალაქ ქუთაისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N125 საცხოვრებელი სახლის  
N95 ბინაზე, მოქალაქე სერგო მარგველაშვილისათვის საკუთრების  
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამ განხილული იქნა დავით აღმაშენებლის გამზირი N125 საცხოვრებელი სახლის N95 ბინაში მცხოვრები მოქალაქე სერგო მარგველაშვილის განცხადებები /2013 წლის 08.10 №–10273, 16.10 №–10627/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N125 საცხოვრებელი სახლის N95 ბინა/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 65<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N125 საცხოვრებელი სახლის N95 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე სერგო მარგველაშვილს /პირადი N60001023391/.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ბ.ცქიფურიშვილი/, ქალაქ ქუთაისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N125 საცხოვრებელი სახლის N95 ბინაზე საერთო ფართობი 69,18 კვ.მ. /საცხოვრებელი ფართობი 41,21 კვ.მ, დამხმარე ფართობი 27,97 კვ.მ./ მოქალაქე სერგო მარგველაშვილის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე გ.შარაბიძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის  
მოვალეობის შემსრულებელი

კ.ლომიძე